ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1640888

ნომერი: AR1270614

თარიღი : 04.12.2014

გაცემის თარიღი : 15.12.2014

გაცნობის თარიღი : 15.12.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მთაწმინდა , N 17 / ქალაქი თბილისი , ქუჩა მთაწმინდა , N 19 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ყიფიანი , ნაკვეთი 01/031 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ყიფიანი , N 31 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მამუკა წერეთელი პ/ნ 01026011923
- ქ. თბილისი, ბალანჩივაძის მე-5 კორპ. ბ.15

ორგანიზაცია:
- შპს "კერა დეველოპმენტი" კოდი: 404913974

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გელა ჩაჩუა
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: NEO-A

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს "კერა დეველოპმენტი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404913974
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ივლიანე წულაია
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 37001007207

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 1016931
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 4.12.2013

ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის
2013 წლის 4 დეკემბრის №1016931 ბრძანებაში მშენებლობის
დასრულების თარიღში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2013 წლის 4 დეკემბერს №1016931 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი – მთაწმინდა), მთაწმინდის ქ. N17 / მთაწმინდის ქ. N19 / ყიფიანის ქუჩა, ნაკვ. 01/031, ყიფიანის ქ. N31–ში მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, რომელიც ძალაშია 2015 წლის 4 იანვრის ჩათვლით.

2014 წლის 4 დეკემბრის N AR1270614 განცხადებით მოგვმართა მოქ. მ. წერეთელმა, რომელიც ითხოვს მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების მიზნით 2013 წლის 4 დეკემბრის №1016931 ბრძანებაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილებების განხორციელებას.

სამსახურმა განცხადების განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 63-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 4 დეკემბრის №1016931 ბრძანებაში, კერძოდ, "ნებართვა ძალაშია 2015 წლის 4 იანვრის ჩათვლით", შეიცვალოს "ნებართვა ძალაშია 2016 წლის 4 თებერვლის ჩათვლით";
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 4 დეკემბრის №1016931 ბრძანებასთან ერთად.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
• ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.